

## გადაწყვეტილება

ფ/პ თემურ ბოლქვაძის (პ/ნ [REDACTED]) მიერ შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) 100%-იანი წილის შეძენით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე

### I. ფაქტობრივი გარემოებები

სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების სააგენტოსთვის შეუტყობინებლობის შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით, სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ 2022 წლის 10 ოქტომბერს, ფ/პ თემურ ბოლქვაძის (პ/ნ [REDACTED]) მიერ განხორციელდა შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) 100%-იანი წილის შეძენა ფ/პ ფრიდონ კომახიძისგან (პ/ნ [REDACTED]) და ეს ტრანზაქცია, წილის მოცულობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას. კერძოდ, განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს წლიური ბრუნვის ნაწილში.<sup>1</sup>

2023 წლის 1 თებერვალს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს - ფ/პ თემურ ბოლქვაძეს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ეთხოვა პოზიციისა და წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.<sup>2</sup>

ფ/პ თემურ ბოლქვაძეს განმარტებით<sup>3</sup>, 2022 წლის 10 ოქტომბერს მასსა და ფ/პ ფრიდონ კომახიძეს (პ/ნ [REDACTED]) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, თემურ ბოლქვაძე გახდა შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) 100%-იანი წილის მფლობელი. წილის ნასყიდობის საფასური შეადგენდა 300 000 (სამასი ათასი) ლარს.

სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, დადგინდა, რომ განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის მდგომარეობით წლიური ბრუნვის ნაწილში. შპს „ლეგომეტალის“ ბრუნვა 2021 წლის წლიური ბრუნვა შეადგენდა [REDACTED] ლარს, ხოლო შპს „ბოლმეტალის“ ბრუნვა [REDACTED] ლარს<sup>4</sup> (კომპანიის [REDACTED]-იანი წილის მესაკუთრეს წარმოადგენდა/წარმოადგენს თემურ ბოლქვაძე). ამასთან, ადგილი არ ჰქონდა „კონკურენციის

<sup>1</sup> სააგენტოსთვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს.

<sup>2</sup> 2023 წლის 1 თებერვლის N02/249 წერილი.

<sup>3</sup> ფ/პ თემურ ბოლქვაძის წერილი. რეგ. N01/459, 2023 წლის 8 თებერვალი.

<sup>4</sup> შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია.

შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>2</sup> მუხლით განსაზღვრული შეტყობინების სააგენტოსთვის წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლების არც ერთ კანონისმიერ წინაპირობას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა სააგენტოსთვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენლობის გარეშე კონცენტრაციის განხორციელების ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 28 თებერვლის N04/89 ბრძანებით ფ/პ თემურ ბოლქვაძის (პ/ნ [REDACTED]) მიერ შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) 100%-იანი წილის შეძენა მიჩნეულ იქნა კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოს მიერ სავალდებულო განხილვის გარეშე განხორციელებულად. ფ/პ თემურ ბოლქვაძეს დაეკისრა ჯარიმა [REDACTED] ლარის ოდენობით. ასევე, დაევალა, 21 კალენდარული დღის ვადაში, განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოში წარმოდგენა.

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში 2023 წლის 31 მარტს შემოვიდა შეტყობინება (რეგ. N01/1053) ფ/პ თემურ ბოლქვაძის (პ/ნ [REDACTED]) მიერ შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) 100% წილის შეძენით განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ. შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, წლიური ბრუნვები 2021 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული.

**თემურ ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:**

- ფ/პ თემურ ბოლქვაძის საქმიანობის სფეროა ფერადი ლითონების ჯართით საბითუმო ვაჭრობის განმახორციელებლო კომპანიის ფლობა და მართვა. მისი შემოსავალი 2021 წელს ქვეყნის შიდა ბაზარზე მიღებული ხელფასის სახით შეადგენდა [REDACTED] ლარს;
- შპს „ბოლმეტალის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფერადი ლითონების ჯართით საბითუმო ვაჭრობა, წლიური ბრუნვა 2021 წელს - [REDACTED] ლარი (თუმცა, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზის მიხედვით, შპს „ბოლმეტალის“ წლიური ბრუნვა 2021 წელს შეადგენს [REDACTED] ლარს);
- შპს „ლეგომეტალის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფერადი ლითონების ჯართით საბითუმო ვაჭრობა. შპს „ლეგომეტალის“ ბრუნვა 2021 წელს ქვეყნის შიდა ბაზარზე შეადგენდა [REDACTED] ლარს, საერთაშორისო ბაზარზე - [REDACTED] ლარს, ჯამში - [REDACTED] ლარს (თუმცა, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზის მიხედვით, შპს „ლეგომეტალის“ წლიური ბრუნვა 2021 წელს შეადგენს [REDACTED] ლარს).

### **კონცენტრაციის ფორმა:**

კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა - ფ/კ თემურ ბოლქვაძის მიერ შპს „ლეგომეტალზე“ საკუთრების უფლების მოპოვება მისი 100%-იანი წილის შესყიდვის გზით.

### **კონცენტრაციის მიზანი:**

გადახდისუუნარობის შედეგად რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ შპს „ბოლმეტალში“ არსებული ეკონომიკური პრობლემების გამკლავება, კერძოდ, წილის შეძენის შემდეგ კომპანიებში დამატებითი კაპიტალის მოზიდვა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, გააგრძელონ არსებული ეკონომიკური საქმიანობა.

### **კონცენტრაციის მხარეები:**

- ფ/კ თემურ ბოლქვაძე (პ/ნ [REDACTED]) ფლობს შპს „ბოლმეტალს“, რომლის საქმიანობის სფეროა ფერადი ლითონების ჯართით საბითუმო ვაჭრობა.
- შპს „ლეგომეტალს“ (ს/კ 400290608) არ გააჩნია ურთიერთდამოკიდებული პირები.

შეტყობინებაში მითითებულია, რომ ფ/კ თემურ ბოლქვაძეს და შპს „ლეგომეტალს“ ბოლო 3 წლის განმავლობაში კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან წილი არ შეუძენიათ.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, კერძოდ კონცენტრაციისთვის სავარაუდო შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულია ფერადი ლითონის ჯართით საბითუმო ვაჭრობა. გეოგრაფიულ ბაზრად განსაზღვრულია საქსპორტო ქვეყნები, ვინაიდან შპს „ბოლმეტალი“ და შპს „ლეგომეტალი“ ძირითადად დაკავებული არიან პროდუქციის ექსპორტით. პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

შემძენის პოზიციით, კონცენტრაციას ბაზარზე უარყოფითი გავლენა ბაზარზე ვერ ექნება, ვინაიდან შპს „ბოლმეტალის“ საქმიანობის შეზღუდვამ გამოიწვია შპს „ლეგომეტალის“ შექმნა; კონცენტრაციას არ გამოუწვევია ბაზარზე საფასო პოლიტიკის ცვლილება (შპს „ბოლმეტალის“ ან შპს „ლეგომეტალის“ მიერ სარეალიზაციო ფასების ცვლილება). კონცენტრაციის დადებით ზეგავლენად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ კომპანიების მიერ საბანკო ვალდებულებები იქნება კეთილსინდისიერად შესრულებული და შესაძლებელი იქნება ბაზარზე ორივე კომპანიის სრულფასოვნად არსებობა/ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, მოხდება პროდუქციის მიწოდების გეოგრაფიული არეალის გაფართოება და რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი კომპანიის გადარჩენა და შენარჩუნება.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

## II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებასა ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11<sup>1</sup> მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს,

გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირს;
6. კანონის 11<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
7. კანონის 11<sup>1</sup> მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექვევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
  - ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
  - ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
8. კანონის 11<sup>1</sup> მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის

გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;

10. კანონის 11<sup>1</sup> მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
11. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
12. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;
13. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

### III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

#### ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, სააგენტო კონცენტრაციის შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიიჩნევს ფერადი ლითონის ჯართით საბითუმო ვაჭრობა.

## ბ) გეოგრაფიული საზღვრები

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს „ბოლმეტალი“ და შპს „ლეგომეტალი“ ძირითადად დაკავებული არიან პროდუქციის შიდა ბაზარზე შეგროვებით და ექსპორტით, სააგენტომ გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნია ეროვნული დონე.

## გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

## კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილის გამოთვლა:

შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის გამოთვლის მიზნით, სააგენტომ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია შავი და ფერადი ლითონების ჯართის 2021 წლის ექსპორტის შესახებ.<sup>5</sup>

საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ფ/პ თემურ ბოლქვაძე და შპს „ბოლმეტალი“ (ს/კ 205282362, ყოფილი „ლეგომეტალი“) არ ფიგურირებენ შავი და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტის ბაზარზე, ხოლო შპს „ლეგომეტალი“ (ს/კ 400290608) ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ფერადი ჯართის ექსპორტის ბაზარზე.

ფერადი ჯართის ბაზრის ექსპორტის დონის მოცულობამ 2021 წელს შეადგენა 271 671 027 ლარი, ხოლო შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) წილმა ბაზარზე - ████%. ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი HHI=1 474.77, რაც ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. განხორციელებული კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს კონცენტრაციის ინდექსის ცვლილებას.

## IV. კონკურენციის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ ფ/პ თემურ ბოლქვაძეს (პ/ნ ████) მიერ შპს „ლეგომეტალის“ (ს/კ 400290608) 100%-იანი წილის შექმნით განხორციელებული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

<sup>5</sup> საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს N02/989 წერილი, 12/04/2023 წ.

<sup>6</sup> საქართველოს შემოსავლების სამსახურის წერილი N21-10/34975, 27/04/2023 (სააგენტოში რეგ. N01/1383, 27 აპრილი 2023 წ.).